

დასავლეთ საქართველოს აგრო-ლანდშაფტური ზონირება მულტიფაქტორული  
(მრავალკომპონენტური) მიდგომით

ზურაბ სეფერთელაძე

ელ.ფოსტა: zurab.seperteladze@tsu.ge

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

შემუშავდა დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკული ზონის ზოგიერი ციტრუსოვან კულტურათა რაციონალური განლაგებისა და ტერიტორიების სამეურნეო ათვისების, მათი აგრორესურსული პოტენციალის განსაზღვრის ლანდშაფტური – მრავალკომპონენტური მეთოდი. აქცენტი გაკეთდა იმ კომპონენტებზე, რომლებიც არსებით ზემოქმედებას ახდენენ (კლიმატი, ნიადაგები, რელიეფი) ციტრუსოვანთა ზრდა განვითარებასა და მოსავლიანობაზე. ჩატარდა იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის – ტიახარა უნშიუს, ქართული საადრევოს და ადრეულას მორფომეტრიული ანალიზი (ბიომეტრიული მაჩვენებლები, ზრდის დასაწყისი-დასასრული, ყვავილობის დასაწყისი-დასასრული, ნაყოფის მომწიფების დასაწყისი და მასიური მომწიფება, ყინვაგამძლეობა და სხვ.). ლანდშაფტთა მრავალკომპონენტური მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის როლს ციტრუსოვანთა გავრცელებისათვის უმნიშვნელოვანესია: რელიეფი (დანაწევრება, დახრილობა, ექსპოზიცია), აგროკლიმატური მაქსასიათებლები ატჯ ჰოვ, ტემპერატურული ინვერსიები, ნიადაგური პირობები და სხვ. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ოპტიმალური აგრორესურსული პოტენციალის მქონე ტერიტორიების გამოვლენა ლანდშაფტურ საფუძველზე.

ამგვარად ციტრუსოვან კულტურათა განლაგება-გავრცელებისას აგროკლიმატურ (ნიადაგურ-კლიმატურ) მახასიათებლებთან ერთად, მთავარი აქცენტი გაკეთდა რელიეფის მორფომეტრიულ მაჩვენებლებზე.